ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲐᲗᲝᲒᲘᲗ ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲡ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲔᲣᲗᲝᲗ ᲛᲬᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲘᲪᲕᲐᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲘᲡ, ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ

„ᲘᲜᲒᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲔᲜᲝᲪᲘᲓᲘ“ – ᲐᲡᲔ ᲨᲔᲐᲯᲐᲡᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲒᲘᲡ ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲒᲘᲗ ᲒᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐᲒᲜᲝᲡ ᲠᲝᲚᲖᲔ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 26 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ.

„ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲔᲜᲝᲪᲘᲓᲘ ᲛᲝᲮᲓᲐ, ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲗᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲙᲘ ᲒᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲔᲜᲝᲪᲘᲓᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲛᲪᲘᲠᲔᲡᲝᲑᲓᲜᲔᲓᲜᲔ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛᲒᲐᲕᲠ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲒᲐᲣᲪᲮᲝᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲰᲧᲕᲔᲑᲐ, ᲒᲐᲣᲪᲮᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲙᲘ, ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ.

ᲘᲮ. ᲒᲕ-2 ᲒᲒ.

ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲔᲠᲐᲥᲘ“: ᲓᲦᲔ ᲛᲔᲥᲕᲘᲓᲔ

ᲐᲨᲨ-ᲛᲘ ᲛᲔᲪᲔᲜᲝᲠᲝᲚᲝᲒᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲐᲒᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲔᲣᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲜᲗᲣᲠᲓᲜᲔᲗ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲘᲐᲠᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲐ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘ ᲐᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲘᲡᲐᲜᲘ. ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲗᲝᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲑᲓᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲝᲛᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲜᲔ.

ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲓᲠᲝ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲐᲑᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲗᲣᲠᲓᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲜᲗᲣᲠᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲜᲗᲣᲠᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲒᲘᲗ ᲒᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲝᲠᲔᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲜᲗᲣᲠᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲛᲣᲥᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲪᲘᲢᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜ

საქართველოს რესპუბლიკა
№ 80, ხუთშაბათი, 27 მარტი, 2003 წელი

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

პირველი გვერდიდან

არადა, ყველანი სულ იმას ვუმეტკიცებთ ერთმანეთს, საქართველო ყველაზე მეტად მე მიყვარხო.

ისე, კაცმა რომ თქვას, ცოტა დაფიქრებაც არ გვაწყენდა ხანდახან. ჩვენ გასაკეთებელს, აბა სხვა ვინ გაკეთებს!

საქმე კი რომ უამრავი გვაქვს, ეს 26 მარტს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გამართული მთავრობის მორიგი სხდომის დღის წესრიგიდანაც კარგად ჩანდა, რომელიც მაქსიმალურად იყო დატვირთული.

პირველ საკითხად მთავრობამ განიხილა და მოიწონა კანონპროექტი „საავტომობილო გრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, რომელიც შეიმუშავა გრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ. როგორც აღინიშნა, ეს ცვლილებები და დამატებები საჭირო გახდა სხვა კანონის – „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ თეიმურ ბერიძემ მთავრობას განსახილველად წარუდგინა პროექტი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებისა „საქართველოს სტატისტიკურ სამუშაოთა 2003 წლის სახელმწიფო პროგრამის შესახებ“. ეს პროგრამა პრაქტიკულად წარმოადგენს განსახორციელებელ ღონისძიებათა ნუსხას. წინასწარი, ასე ვთქვათ, აპრობაცია მან უკვე გაიარა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც სახელმწიფო ორგანოების, ისე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, მასმედიის წარმომადგენლები. ამის შემდეგ პროექტი შეუთანხმეს დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები დაფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

სათანადო განხილვის შემდეგ წარმოდგენილი პროექტი მოიწონეს.

სხდომაზე განიხილეს და სათანადო ღონისძიებები დასახეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ამირან გამყრელიძის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით – აივ-ინფექცია-შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ „აივ-ინფექცია-შიდსზე ეროვნული საპასუხო ზომების გაძლიერების მხარდაჭერა ეფექტიანი პროფილაქტიკური და საკონტროლო ღონისძიებების განხორციელებისათვის 2003-2007 წლებში“ მხარდაჭერისა და დაფინანსების შესახებ.

როგორც ცნობილია, შიდსის პრობლემა სადღეისოდ უმწვავესი სამეცნიერო და, რასაკვერველია, საქართველოშიც. საკმარისია თქვას, რომ ეპიდემიის დაწყებიდან მსოფლიოში ინფიცირებულია 64,8 მილიონი კაცი, მათგან 24,8 მილიონი უკვე გარდაიცვალა. ექსპერტთა მონაცემები კი კვლავ შემაშფოთებელია: ყოველდღე ინფიცირდება 15 ათასი კაცი. უდიდესი ძალისხმევის შედეგად მოხერხდა ეპიდემიური სიტუაციის სტაბილიზება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. სამაგიეროდ, საწინააღმდეგო სურათია ეგრეთ წოდებულ განვითარებადს და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სადაც შიდსის შემთხვევების რიცხვი ძალიან სწრაფად იზრდება. ექსპერტების ოფიციალური მონაცემებით, შიდსის ეპიდემიის ზრდის ყველაზე სწრაფი ტემპი ამჟამად აღინიშნება რუსეთში, უკრაინასა და ესტონეთში.

ნებისმიერი სიძნელე შრომით დაიძლევა

საქართველოში 2003 წლის 20 მარტის მონაცემებით, ოფიციალურად რეგისტრირებული ინფუქციის 408 შემთხვევა, მათ შორის 349 მამაკაცია და 59 – ქალი. ამასთან, ექსპერტთა ვარაუდით, დღეს სქართველოში რეალურად ორი ათასამდე ინფიცირებული და შიდსით დაავადებულია. ფრთან დამაფიქრებელია ისიც, რომ რეგისტრირებულ ინფიცირებულთა 70 პროცენტი ინტერავენური ნარკომანია.

ამ საკითხის განხილვისას ყურადღება დაუთმეს აგრეთვე ისეთ დაავადებებს, როგორიცაა ტუბერკულოზი და მალარია. აღინიშნა, რომ ბოლო დროს შეიმჩნევა ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვის კლების ტენდენცია, თუმცა ჯერ კიდევ დასაძლევია წინა ათწლეულის რეციდივები, როცა აღინიშნა ამ დაავადების განსაკუთრებით ძლიერი აფეთქება.

ასევე ითქვა, რომ ბოლო წლებში აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში მოულოდნელად დფიქსირდა მალარიის შემთხვევები, რაც იმას მოწმობს, რომ ამ მხრივ ძალისხმევა არასოდეს არ უნდა შესუსტდეს.

სხდომაზე 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა. როგორც მის მიერ წარმოდგენილი მაჩვენებლებიდან ჩანს, ვითარება არც ისე სავალალო ყოფილა, როგორც ამას გვიმტკიცებს ზოგიერთი გრიბუნასმორგებული ორაგორი. მაგალითად, მრეწველობაში წარმოების ზრდის გემპმა 19 პროცენტს გადააჭარბა, თუმცა სოფლის მეურნეობაში პირიქით მოხდა – ხორბლის წარმოება შემცირდა 31 პროცენტით, ციგრუსების კი – თითქმის 50 პროცენტით.

გასულ წელს დაფიქსირდა ინფლაციის ყველაზე დაბალი დონე. ბიუჯეტში მთლიანად მობილიზებულია 890,8 მილიონი ლარი, ესე იგი პროგრამა შესრულდა 93,6 პროცენტით.

ბიუჯეტის გარშემო სჯა-ბაასი როგორც წესი, ყოველთვის გამოირჩევა განსაკუთრებული სიმწვავით. გამონაკლისს არც ეს განხილვა წარმოადგენდა. ამჯერად კრიტიკული შენიშვნების ობიექტი საბაჟო დეპარტამენტი გახდა, რომელმაც ვერ მოახერხა წლიური გეგმის შესრულება. რაც შეეხება საგადასახადო დეპარტამენტს, აქ გეგმას კიდეც გადააჭარბეს.

სხდომაზე პრინციპულად ითქვა, რომ საბაჟოს ხელმძღვანელობამ მართლაც დიდი მუშაობა გასწია და ამოდებული თანხების მნიშვნელოვანი ზრდაც ამკარაა. თუ რაიმე ნაკლოვანებები არის, ამის მიზეი უკვე ის კორუმპირებული ბიბოლეობა, რომლებიც გაელენას ახდენენ საქმის ვითარებაზე. მირიან გოგიაშვილმა განაცხადა, რომ იგი სულ მოკლე ხანში პერსონალურად ჩამითვლის ყველა ამ ბიბოლის ვინაობას.

რასაკვერველია, საქმეს ისიც ენებს, რომ საბაჟოები არ არიან სათანადო მოწყობილობით აღჭურვილი, ეს კი საკმაოდ სერიოზული რეზერვია, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის შემთხვევაში ადგილებზე ხელმრულთა მიერ გამოწვეული თანხების ნაკლებობა გამოირიცხება, რაც მნიშვნელოვნად წაადგება ბიუჯეტს.

ახლა თბილისში მართლაც მშენებლობის ბუმია. ასეთ პირობებში კონტროლი განსაკუთრებით საჭიროა, მით უმეტეს, რომ, როგორც ირკვევა, ზოგიერთი მენაშენე დიდად არ დაგიდევს სამშენებლო ნორმების და, საერთოდ, ურბანისტული გარემოთი ნაკარნახევი ურთიერთობის დაცვას. კონტროლის პალატამ ბოლო წლებში თბილისს არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურში ჩაგარებული შემოწმებებით გამოავლინა, რომ დედაქალაქის განვითარებისა და განაშენიანების სფეროში შექმნილია მძიმე ვითარება, რასაც მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ მოქმედებს ძველი, 1972 წელს დამტკიცებული თბილისის პერსპექტიული განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა. არადა, განსილილ პერიოდში გრანსფორმაციია განიცადა ქვეყნის ეკონომიკამ, შეიცვალა მისი მაკრო და მიკრო ეკონომიკური გარემო, დამკვიდრდა საბაზრო ურთიერთობათა ელემენტები და ასეთ პირობებში სრულიად გაუმართლებელია დედაქალაქს არ გააჩნდეს მისი განაშენიანებისა და განვითარების თანამედროვე სტრატეგიული პოლიტიკა. ამ შემთხვევაში არცაა გასაკვირი, თუ ქალაქმშენებლობის პროცესში დაშვებული იქნება სხვადასხვა სახის შეცდომები, რამეთუ არც არსებობს წინასწარ შემუშავებული პროგრამა, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ყველა სამშენებლო მოედნის სპეციფიკა.

საკმაოდ მწვავედ წარიმართა აგრეთვე მსჯელობა საკითხზე, რომელიც შეეხებოდა საგადასახადო დეპარტამენტის მიერ ვადაგადაცილებულ დავალიანებათა ამოღების თვალსაზრისით გაწეულ იმუშაობი ღონისძიებებს. ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა ხსენებული დეპარტამენტის თავმჯდომარემ იასე ზაუგაშვილმა. ცხადია, ლაპარაკი პირველ რიგში შეეხო ურჩ გადამხდელებს და მათ მიმართ მკაცრი ზომების მიღების საჭიროებას. საერთოდ, როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მომდინარე წლის პირველი კვარტალის ბიუჯეტის შესრულება და მარტის ბოლომდე დარჩენილი დრო ამისათვის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. აქვე უნდა ვთქვათ, რომ თვითონ ფინანსთა მინისტრმა მირიან გოგიაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები პირველ კვარტალში შესრულდება.

განიხილეს და მოიწონეს ინფორმაცია „თბილისის ურბანული განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 25 მაისის №211 ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

თენგიზ გრიგალაშვილი,
საქინფორმის კორ.

პრეზიდენტი

ეუთო მზად არის დაიცვას ქართველების, როგორც ეროვნული უმცირესობის, უფლებები აფხაზეთში

პირველი გვერდიდან

ამასთან, ყურადღება მიაპყრო ქენევაში გამართულ მეგობართა ჯგუფის შეხვედრას და აღნიშნა, რომ „ეს საუბარი უნდა გაგრძელდეს და აფხაზური მხარეც შეეგუოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ეუთოს რეკომენდაციები და მითითებები სავალდებულოა და უნდა შესრულდეს“.

საქართველოს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება, რომ გალში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უკვე დაბრუნდა, მათ შორის, სტაქიურადაც, და დასძინა, რომ მათი უფლებების მაქსიმალურად დაცვისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ექნება გალში გაეროსა და ეუთოს ერთობლივი ოფისის გახსნას.

ედუარდ შევარდნაძე კმაყოფილებით გამოეხმაურა ეუთოს ეგიდით გამართულ კონფერენციას სამცხე-ჯავახეთის პრობლემებზე და მადლობა გადაუხადა სტუმრის ამ პრობლემებით დაინტერესებისა და მათი გადაწყვეტის გზების ძიებისათვის.

როლფ ეკეუსმა სრულად გაიზიარა საქართველოს პრეზიდენტის შეშფოთება გალის რაიონში ქართველთა მდგომარეობის გამო და განაცხადა, რომ მშობლიურ ენაზე განათლების მიღება ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი უფლებაა. იგი მიესალმა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას, თავად იკისროს აფხაზური სახელმძღვანელოების ქართულად თარგმნა და განაცხადა, რომ მისი ოფისი მზად არის დააფინანსოს ეს ღონისძიება. ამასთან, აღნიშნა, რომ ამ პროცესის დაწყების გადადება კონფლიქტის პოლეგიკურ მოწესრიგებამდე დაუშვებელად მიაჩნია.

ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესმა კომისარმა ხაბი გაუსვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამცხე-ჯავახეთში არსებული, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო ენის შესწავლასთან დაკავშირებული პრობლემების დროული აღმოფხვრა და კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ კონფერენციამ ამ თვალსაზრისით ძალზე პოზიციური როლი შეასრულა. მისი განცხადებით, უკვე მოძებნილია ამ მიმართულებით საჭირო ფინანსები. როლფ ეკეუსმა, იქაური მოსახლეობის მეგი ინფორმირებულობის მიღწევის მიზნით, სასურველად მიიჩნია საინფორმაციო და ანალიტიკური პროგრამების სომხურ ენაზე გრანსლირება და აღნიშნა, რომ ამ მხრივაც შეეცდებიან მხარდაჭერა აღმოუჩინონ საქართველოს ხელისუფლებას.

საქართველოს პრეზიდენტის
პრესსამსახური.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 21 მარტი ქ. თბილისი

განათლების დარგის მუშაკთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

მოსწავლე და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და სისტემის რეფორმირებაში მიღებული აქტიური მონაწილეობისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და სამოგადოებრივი საქმიანობისათვის განათლების დარგის მუშაკები დაჯილდოდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

ორდენით:

ნანული ანთაია – წალენჯიხის №2 სამუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში; **ლიანა ასლანიშვილი** – ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედის სამეალო სკოლის მასწავლებელი; **მუსეფა ახმედოვი** – გორდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისის ამერბაიჯანელი სამუალო სკოლის მასწავლებელი; **ციცინო ბურნაძე** – სამტრის რაიონის სოფელ ხცისის სამეალო სკოლის დირექტორი; **ლამზირა გიორგაძე** – ოზურგეთის №2 სამუალო სკოლის მასწავლებელი; **მაირა გოგიბერიძე** – ოზურგეთის №2 სამუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი; **ნელი დარსაველიძე** – ქუთაისის №12 მოგადსაგანმანათლებელო სკოლის მასწავლებელი; **ბორის ზვამბაია** – ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონის სამუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში; **სულიკო კალანდაძე** – ჩოხგაურის აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის სამუალო სკოლის მასწავლებელი; **ნანა კიკნაძე** – თბილისის №61 სამუალო სკოლის მასწავლებელი; **აპოლონ შუშკევიანი** – ცაგერის რაიონის სოფელ ისუნდრის სამუალო სკოლის მასწავლებელი; **ცაბი სვანიძე** – ოზურგეთის №1 სამუალო სკოლის მასწავლებელი; **იმოლდა სისარულიძე** – ოზურგეთის №2 სამუალო სკოლის მასწავლებელი; **ნათელა შარაშენიძე** – ჩოხგაურის აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის სამუალო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი; **კამელი შარვაძე** – ტყიბულის რაიონის სოფელ სოჩხოთის სამუალო სკოლის დირექტორი; **ვალიკო ნიალაბავა** – ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიბამკარის დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლის გამგე; **ლილი ჩხიკვიშვილი** – ჩოხგაურის რაიონის ღვაწლმოსილი პედაგოგი; **დარეჯან ცინცარაძე** – ჩოხგაურის რაიონის ღვაწლმოსილი პედაგოგი.

მედლით:

შოთა კაკუშაძე – ტყიბულის №4 სამუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში; **ოური შგალობლიშვილი** – ჩოხგაურის რაიონის სოფელ ბუკისციხის სამუალო სკოლის მასწავლებელი; **თენგიზ ჩხიკვიშვილი** – ჩოხგაურის რაიონის სოფელ ჩაისუნნის სამუალო სკოლის მასწავლებელი; **ალექსანდრე ჯიბუტი** – ჩოხგაურის აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის სამუალო სკოლის მასწავლებელი; **ნუნუ ჯიმშიაშვილი** – ტყიბულის №1 ბაგა-ბაღის გამგე.

ედუარდ შევარდნაძე.

„ეი-ი-ეს მგეკვარი“ თავნებობს

კომპანია „ეი-ი-ეს მგეკვარმა“ გუშინ დილით მე-9 ენერგობლოკი გამორთო, რითაც სისტემას 180 მეგავატის სიმძლავრე დაკლდა.

მთავრობას „ეი-ი-ეს მგეკვრისათვის“ საჭირო ბუნებრივი აირის შესაძენად 2 მილიონი დოლარი სავრთაშორისო ენერგეტიკულ კომპანიას „იგეკარს“ უნდა გადაერიცხა, მაგრამ, აღნიშნული თანხა სრულად არ არის გაცემული და მას 900 ათასი ლარი აკლია.

როგორც ენერგეტიკის მინისტრი დავით მორცულიანი აცხადებდა, „იგეკრასთან“ მიღწეულია შეთანხმება და ენერგეტიკური კომპანია გმზა არ გამორთავს. „იგეკრას“ გაზის მიწოდება არც შეუწყვეტია, თუმცა, ამის გამო, რომ თანხა წინასწარ გადახდილი არ იყო, „ეი-ი-ეს მგეკვარი“ მთავრობას არ ენდო და ბლოკი გამორთო.

ერთი ანეკდოტია არ იყოს, მართლაც ვისი ბიძაშვილია „ე-ი-ეს მგეკვარი“, ჩვენი თუ დამთვისა?

საზი აღდგენილია

„სპორტსენორგზს“ სპეციალისტებმა 4 დღის წინათ დაბინძნებული რუსეთთან დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი აღადგინეს და საქართველოს ელექტროსისტემამ რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგია მიიღო.

დაბინძნებული გადამცემი ხაზის აღდგენას ენერგეტიკოსებმა 4 დღე იმიგომ მოანდომეს, რომ მთაში მეტეოროლოგიური პირობები გაუარესდა და სარემონტო სამუშაოების ჩაგარება გაძნელდა.

ამჟამად ელექტროენერგიის იმპორტი სორციელდება სომხეთიდანაც.

ინფორმაციები მოგვაწოდა
ანტონ-პრესმ.

პოზიცია

მოვითხოვთ, რომ შეწყდეს აბსურდული ტრაგიკომედია!

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მიმართვა ქვეყნის საზოგადოებას

**პატივცემულ მეგობრებო – ჩვენ, ოლიმპიური ოჯახის წევრებმა, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობამ, ოლიმპიური ნაკრებების მწვრთნელებმა, ოლიმპიელებმა, ოლიმპიელთა ოჯახებმა, ოლიმპიელთა ერთგულ მეგობრებმა, ოლიმპიელთა ერთგულ ოპონენტებმა, ოლიმპიელთა ერთგულ ოპონენტთა ოჯახ

ДОКУМЕНТИ

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2003 წლის 17 მარტი ქ. თბილისი

ადგილობრივი მმართველობის ორგანოს (რაიონის, ქალაქის) სამხედრო განყოფილების დებულების შესახებ

1. „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირველი შუხლის შე-6 პუნქტის და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დამტკიცდეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს (რაიონის, ქალაქის) სამხედრო განყოფილების თანდართული დებულება.

2. ქალაქ თბილისის მერიამ სამხედრო განყოფილების საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა განახორციელოს „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის № 685 ბრძანებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (დ. თავეშაძე) უზრუნველყოს რაიონებისა და ქალაქების ყოფილი სამხედრო კომისარიატების (განყოფილებების) 2003 წლის 1 იანვრისათვის არსებულ დავალიანებათა დადგენილი წესით დაფარვა.

ედუარდ შევარდნაძე.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოს (რაიონის, ქალაქის) სამხედრო განყოფილების

დებულება

1. ზოგადი დებულებანი

1. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების (რაიონის, ქალაქის) სამხედრო განყოფილება (შემდგომში – განყოფილება) არის ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას.

2. განყოფილება თავის საქმიანობას ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, ამ დებულებით – დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელების გადაწყვეტილებებით და სპეციალური სახელმძღვანელოთი „სამხედრო განყოფილეებთა სამსახურებრივი საქმიანობის წარმართვის შესახებ“.

3. განყოფილება ფინანსდება რაიონის (ქალაქის) ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

4. განყოფილებას აქვს შტამპი, ბეჭედი, ბლანკი განყოფილების სახელწოდების აღნიშვნით და სხვა საჭირო რეკვიზიტები.

II. განყოფილების ძირითადი ამოცანები, უფლებები და მოვალეობანი

1. განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) უზრუნველყოს მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, სამხედრო სამსახურისათვის მომზადება და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის ორგანიზაცია;

ბ) უზრუნველყოს ახალგაზრდებთან პატრიოტულ-აღმზრდელობითი მუშაობა;

გ) გაკონტროლოს რაიონის (ქალაქის) ტერიტორიაზე მოქალაქეთა მიერ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნათა შესრულება;

დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი.

2. განყოფილების ძირითადი ფუნქციებია:

ა) ჭაბუკებისა და წვევამდელი ასაკის მოქალაქეთა შუსგი აღრიცხვა;

ბ) 15 წლის ასაკის ჭაბუკთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა;

გ) წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევად მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულება;

დ) ტერთიანებული სამხედრო აკადემიისა და კადეტთა კორპუსისათვის კანდიდატების შერჩევა, მომზადება და გაგზავნა;

ე) საშუალო სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადების მიმდინარეობის კონტროლი;

ვ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამწვევი კომისიების მუშაობის ორგანიზაცია და გაწვევულთა შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტებში გაგზავნა;

ვ) ჯანმრთელობის დაცვისა და განაალების ორგანოებთან ერთად შესაბამისი გეგმის მიხედვით წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის მოსამზადებელ ღონისძიებათა განხორციელება;

თ) აღრიცხვაზე აყვანისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მოქალაქეთა განცხადებების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა და სათანადო გადაწყვეტილებათა მიღება;

ი) სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლისათვის თავის ამრიდებელი მოქალაქეების შესახებ მასალების მომზადება და მათი გადაცემა სამართალდამცავი ორგანოებისათვის;

კ) სასწავლო დაწესებულებებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მიერ „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვის კონტროლი.

3. განყოფილებას უფლება აქვს:

ა) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მეუფლებელად გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია რაიონის (ქალაქის) სახელმწიფო ორგანოებიდან, კერძო სტრუქტურებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან;

ბ) მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდობის საკითხებთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში შეისწავლოს და დასვას საკითხი რაიონის (ქალაქის) ხელმძღვანელობის წინაშე მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ;

გ) მოაწყოს თათბირები და შეხვედრები მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების შესახებ.

4. განყოფილება ვალდებულია:

ა) გაკონტროლოს რაიონის (ქალაქის) სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლე-ახალგაზრდობის პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის მიმდინარეობა; გაუწიოს კონსულტაციები სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს დაწყებითი სამხედრო მასწავლებლების შერჩევაში, ჩაუტაროს მათ სასწავლო-მეთოდური მეცადინეობები;

ბ) გამოიკვლიოს მოქალაქის პროფესიულ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა სამხედრო სამსახურში მისი ეფექტიანად გამოყენების მიზნით;

გ) მოამზადოს და საქართველოს პრეზიდენტის შესაბამის სამსახურს დადგენილ ვადებში წარედგინონ ინფორმაცია და ანგარიში მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის შესახებ.

III. განყოფილების საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა

1. განყოფილების საქმიანობას წარმართავს განყოფილების უფროსი, რომელსაც ნიშნავს რაიონის ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი საქართველოს პრეზიდენტის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით.

2. განყოფილების სტრუქტურასა და სამტაგო ნუსხას ამტკიცებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი.

3. განყოფილების უფროსი:

ა) წარმართავს განყოფილების საქმიანობას და პასუხისმგებელია განყოფილების წინაშე არსებული ამოცანების შესრულებისათვის; ბ) ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს განყოფილების თანამშრომლებს: ანაწილებს ფუნქციებს განყოფილების სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და განყოფილების თანამშრომელთა მორის, აკონტროლებს მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას.

IV. განყოფილების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

განყოფილების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე.

ПРИВЕЛИ СИКЕТИ

მოსახლეობა უკვე ფულს იღებს

„შს პროექტები (ლაპარაკია „დიდი ბრეშუმის გზასთან“ დაკავშირებულ პროექტებზე) აუცილებლად განხორციელდება და ბევრ სიკეთეს მოუტანს საქართველოს“.

პრემიერმა ამ სიტყვის სამართლები ნათლად დაგრწმუნდი, როცა აშას წინათ ბორჯომისა და ახალციხის რაიონებში გასულდით. უნდა გვენახა, თუ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გამავალ გრასაზე სამართლებრივი თვალსაზრისით რამდენად კანონშომიერად მიმდინარეობდა სამუშაოები ანაშდაურება მოსახლეობისათვის, რომელთა კუთვნილი ნაკვეთებიც ჩვენი ქვეყნისათვის ამ შეგად სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ობიექტის მშენებლობის არეალში მოხვდა.

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით მოწყობილი ეს გასელა მიზნად ისახავდა ადგილზე ამ კუთხით საქმის ვითარების გაცნობას. იუსტიციის მინისტრის ბრძანებით შეიქმნა სპეციალური საბჭო. იგი საჭიროების შემთხვევაში სათანადო დასკვნებს და კონსულტაციებს გაუწევს იმ ნოტარიუსებს, რომლებიც ამ პროცესში არიან ჩართულნი და საქმის სამართლებრივად მოგვარება და გადაწყვეტა ეევალებათ. თბილისიდან ჩასული ნოტარიუსები, პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ნარგიზა ჯანხოთელი, საკონსტიტუციო სასჯელის წევრი დავთი ოყორშიძე, სამინისტროს კერძო სამართლის სამმართველოს უფროსი ლალი გზირიშვილი და ბრიგიმ პეტროლიუმის (იგი, დადებული ხელშეკრულების თანახმად, მიწის მყიდველი მხარეა) წარმომადგენელი, იურისტი დავთ სახოკიან და სხვები ადგილზე გაეცნენ საქმის ვითარებას. გარდა ამისა, პროცესი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს ნოტარიუსთა დამოუკიდებლობას და მათ შემდგომ ეკონომიკურ გაძლიერებას.

ეს პროცესი რომ წარმატებით მიმდინარეობს, ამაში თავადაც დავრწმუნდი.

ბორჯომის რაიონში ნავთობგრასა ციხისჯვარზე, გაძრისზე და საკიორეზე გადის. ნოგაძრიუს თამარ ჩორგოლაშვილთან საუბრისას გაირკვა, რომ აქ 350 კაცმა უნდა მიიღოს საკომპენსაციო თანხა, რომელიც 350-დან დაწყებული 16 ათას ლარამდე ადის (ეს არის ის პირველი სიკეთე ჩვენი მოსახლეობისათვის, რომელშედაც ქვეყნის პრეზიდენტი თავის ამსაწინანდელი გამოსვლის დროს საუბრობდა). რაიონში დავის საგანი თურმე სათიბების სათეს საკუთრებში გადაცემის საკითხი გამხდარა (გაძრისში და საკიორეში), რომელიც სასამართლოს საშუალებით დადებითად გადაწყვეტილა. ახლა მისი მესაკუთრეები მიწის რაიონული დეპარტამენტიდან მიიღებენ პაკეტს, ბანკიდან კი – კუთვნილ თანხებს.

ახალციხის რაიონშიც ამ მხრივ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა დაგვხვდა, იქ იმ დღისათვის უკვე მიწის მესაკუთრეებთან 550 ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული, დარჩენილ 250 პირს კი უახლოეს პერიოდში გაუფორმებენ.

როგორც ჩვენთან საუბარში დავით სახოკიამ აღნიშნა, ხელშეკრულებაში ჩადებული ყოფილა მიწის მესაკუთრის იურიდიული სტატუსი, რომელიც დადასტურებულია სპეარო რეესტრიდან ამოწაწერით და რომელიც თან ერთვის სანოტარო აქტს ნაკვეთის ნასყიდობის მესახებ.

უკან, თბილისისაკენ მომავალნი, ხაშურში სარკინიგზო შუამდგენლობამ შეგვიფერხა, რომელიც დასავლეთიდან ნავთობსადენის მილებით დაგვირთული მოდიოდა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გრასის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ამ მილებში გამავალი ნავთობი ჩვენს ქვეყანას უდიდეს სიკეთეს მოუტანს. ამაში უკვე ეჭვი თვით უკიდურესად პესიმისტურად განწყობილთაც კი აღარ ეპარებათ.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

ФАКТИ

ასეთია ახალი ელექტრომატარებელი

„ფოთში ახალი მაგარებელი შემოვიდა“ – ასე ერქვა ინფორმაციას, რომელიც ჩვენი გაზეთის 18 მარტის ნომერში დაიბეჭდა. მკითხველს ვპირდებოდით, რომ უფრო ვრცელ წერილს უახლოეს ნომერში შევთავაზებდით. ვიცი, მოგეერთოი „კეთილისმსურველი“ მხრეს ბიზენავს, განა ასეთი რა მოხდაო. მოხდა, ჩემო ბაგონო, დიახაც რომ, მოხდა! მიუხედავად იმისა, რომ სახალხო გადამიდევი საქართველოს რკინიგზისათვის ეამგეთიანია, იგი მაინც ბრუნავს თავისი პარკის ახალი ელექტრომაგარებლებით შეესებაზე. თანაც, როგორი მაგარებლით – ევროპული ეფსტრაკალასის მაგარებლებით! ეს, ცხადია, ადამიანებზე ბრუნვის კიდევ ერთი დასტურია.

მაბრამ ამ ფაქტს სხვა მნიშვნელობაც აქვს. აი, რას წერდა ლაგვიის გაზეთი „ვესტი“ ამა წლის 22 თებერვალს პირველ გვერდზე გამოგანილ ფერად ფოტოსურათიან კორესპონდენციაში „რიგა ელექტრომავლების სამშობლოა“: „ბუშინ, ბოლო ათწლეულის მანძილზე პირველად, საბჭო გაუშვეს პირველი ახალი, თავიდან ბოლომდე რიგაში აწყობილი ელექტრომაგარებელი. „ერ-2 გ“ სერიის ახალი ნაწარმი აგებულია საქართველოს რკინიგზის დაკვეთით. ჩვენი „სავაგონოსთვის“ ეს ორმაგი შეიმიან: ჯერ ერთი, შესრულდა 2 მილიონ დოლარზე მეტი დირებულების შეკვეთა, მეორეც, მაგარებლების წარმოების განახლება შევძელით“.

ხედავთ, ქართველმა რკინიგზელებმა არა მარტო „თავისი“ საქმე გაკეთეს, არამედ რიგელ ვაგონმშენებლებსაც დახმარების ხელი გაუწოდეს! ეს რომ ასეა, ვსვავგონიანი, ლაგვია-გერმანია-ფინეთის ერთობლივი მაგარებელი თავისი წინამორბედებისგან ბევრი რამით განსხვავდება, გარეგნული იერით დაწყებული და ვაგონების მიგთავესით დამთავრებული. ეს არ არის საბჭოური მრგვალ ან კუთხოვანთავიანი მაგარებელი. ის უფრო გერმანულ „ინტერრეგიოს“ წააგავს. მემანქანის მოხერხებული კაბინა ყველანაირად აკმაყოფილებს ევროპულ მოთხოვნებს. ვაგონებში დადგმულია რბილი საკარძლები, რომელთა მორისაც მაგიდებია ჩადგმული. მგზავრების გასკარგულებამია ტელევიზორები, ერთ-ერთ ბოლო ვაგონში კი ბარია მოთავსებული.

– რამდენი მგზავრის გადაყვანა შეუძლია ახალ ელექტრომაგარებელს?

– 300-მდე. საქმე ის გახლავთ, რომ კომფორტულობის გაზრდის გამო ჩვეულებრივ ვაგონებთან შედარებით მაგარებლის ტევადობა შემცირებულია. ძველი სათაო ვაგონი 88 მგზავრზე იყო გათვალისწინებული, ახლა იგი 40 კაცს

ეროვნული ექსპერტი

ელგუჯა ლებანიძე.

სურათებზე: პრეზიდენტი შევარდნაძეთა კბაყოფილია; რიგის ვაგონმშენებელი ქარხნის დირექტორი ლაზარ რაიბერგი სიმბოლურ გასაღებს გადასცემს ქართველ მემანქანეს; რიგიდან მიღებული ახალი ელექტრომაგარებელი.

ნოდარ შეუკაშვილის („ეკონომისტის“) და „ნოვოსტის“ ფოტო.

– რაგომაც არა! 20 მარტს ჩვენი შენაძენი თვით ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დათვალიერა და ძალიანაც მიეწონა. რიგელებს უკვე შეუკვეთეთ ორი ათვაგონიანი ელექტრომაგარებელი. გარდა ამისა, ხელშეკრულება დავდეთ სამი ექსკავატორიანი სექციის კაპიგალურ შეკეთებაზე. ამ სექციების სქემაც ჩემი დამუშავებულია, იქაც ყველაფერი თანამედროვე იქნება – დიზაინი, კომფორტი, სხვა მახასიათებლები. ერთი მაგარებელი უკვე მზად არის რიგაში გასაგზავნად. შეკეთების შემდეგ იგი 15 წელს მაინც მოგვემსახურება.

– როდის აპირებთ ახალი მაგარებლის ხაზზე გაშვებას?

– მალე. ის თბილისი-ქობულეთის მარშრუტით ივლის და სეზონზე მხოლოდ იქაურ დამსვენებლებს მოემსახურება. ჯერჯერობით საცდელ „გადარბენებს“ აწყობს. ისლა დაგვრჩენია, გზა დავულოცოთ...

– დიახ. ბედნიერად ეგლოს!

ელგუჯა ლებანიძე.

სურათებზე: პრეზიდენტი შევარდნეთი კბაყოფილია; რიგის ვაგონმშენებელი ქარხნის დირექტორი ლაზარ რაიბერგი სიმბოლურ გასაღებს გადასცემს ქართველ მემანქანეს; რიგიდან მიღებული ახალი ელექტრომაგარებელი.

ნოდარ შეუკაშვილის („ეკონომისტის“) და „ნოვოსტის“ ფოტო.

КОРУПЦИის წინააღმდეგ

(პირველი გვერდიდან)

მესამოწმეელ პერიოდში საბაჟო „გარდაბანის“ ჯანდარა-ვახტანგისის გამშვებ პუნქტზე ფიზიკურ პირებზე მთელს სარკვიმო პერიოდში გაფორმებულია 43 დეკლარაცია და ბიუჯეტში მიმარულია 4,5 ათასი ლარი, ხოლო „საგარეჯოს“ და „რკინიგზის“ საინსპექტორო განყოფილებას ამ პერიოდში ფიზიკური პირის დეკლარაცია საერთოდ არ გაუფორმებია. ამასთან, საბაჟო „გარდაბანის“ გამშვები პუნქტის „ჯანდარა-ვახტანგისის“ მიერ 2000 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 მაისამდე საგზაო გადასახადის სახით მობილიზებულია მხოლოდ 12,5 ათასი ლარი, სამზღვრის გადმოკვეთა დაფიქსირებულია 200-მდე ავტომანქანით, არადა, საქართველოს სამზღვრის დაცვის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ცნობის მიხედვით „ჯანდარა-ვახტანგისის“ სასაზღვრო საკონტროლო პუნქტმა იმავე პერიოდში დაბაფიქსირა უცხო სახელმწიფოთა სანიმნე ნომრიანი მანქანების სამზღვრის გადმოკვეთის 846 შემთხვევა.

ხმირია შემთხვევა, როდესაც იმპორტირებულ საქონელს შეუსაბამო კოდს ანიჭებენ სხვადასხვა ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (რომელთა კანონიერებაც დამტკიცით შესწავლას მოითხოვს). მაგალითად, საბაჟო „გარდაბანში“ იმპორტირებული ავტომანქანების საბაჟო გაფორმებისას საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შეღავათი, რომელიც სამგზავრო ავტობუსების იმპორტს ეხება, გაფრცელებულია 2-ადგილიან სტარანსპორტო სამუალებებზე, რომლებზეც შეღავათი არ ვრცელდება. ანალოგიური სახის დარღვევებია საბაჟო დეპარტამენტის სხვა რეგიონულ საბაჟოებზეც.

შემმოწმების შედეგად დადგენილია, აგრეთვე, საწყობში საქონლის შენახვის ვადების დარღვევის ფაქტები. კერძოდ, საწყობში შენახვის ერთწლიანი ვადის ამოწურვის მიუხედავად, განუბაჟებელი ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის, შპს „ეპარქიის ალორძინების ცენტრის“, შპს „ასკანელი ძმების“ და შპს „ექს“-ის გვირთები.

ამის გამო, რომ თბილისის რეგიონულმა საბაჟომ ქმედითი ღონისძიებები არ განახორციელა, შემოწმების მომენტისათვის საბაჟო კონტროლზე ირიცხებოდა 191 საბაჟო-საგვირთო დეკლარაციით გაფორმებული სხვადასხვა ორგანიზაციის გვირთები. მათგან 40 დასახელების საქონელი საბაჟო საწყობში იმყოფება 1997-1999 წლებიდან. ასევე გამოვლინდა საქონლის არალიცენზირებულ საწყობები განთავსებისა და დადგენილი ვადების დარღვევით განბაჟების ფაქტებიც. კერძოდ, 4 შემთხვევაში 173,6 ათასი ლარის საბაჟო ღირებულების საქონელი საბაჟო კოდექსის დარღვევით განთავსებული იყო იმავე ორგანიზაციების კუთვნილ არალიცენზირებულ საწყობებში.

შემმოწმებიმ გამოვლინდა, რომ 2001 წლის 2 მაისსა და 14 ივნისს „საქართველოს მილსადენმა კომპანიამ“ შემოიგანა შესაბამისად 138,9 და 161,8 ათასი ლარის ღირებულების გვირთი, რომელიც გაფორმდა იმპორტის რეჟიმით და დაიბეგრა ნულოვანი განაკვეთით. 2001 წლის 19 ივნისს „საქართველოს მილსადენმა კომპანიამ“ გვირთი გააფორმა ექსპორტის საბაჟო რეჟიმით და არასწორად ისარგებლა იმპორტისას მინიჭებული შეღავათებით (საბაჟო დეპარტამენტმა თანხის ამოღების მიზნით სარჩელი შეიტანა სასამართლოში).

2001 წლის 30 აგვისტოს შპს „ბათუმის თამბაქოს კომბინატმა“ რეიმპორტის რეჟიმით შემოიგანა 6,5 გონა საჩიბუხე თამბაქო, რაზეც ბათუმის საბაჟომ მხოლოდ 0,15 პროცენტი საბაჟო მოსაკრებელი გადაახდევინა, მაშინ, როდესაც ეს საქონელი ექვემდებარებოდა საბაჟო გადასახადით, დღგ-ით და აქციზით დაბეგვრას. საქონელს არასწორად მიენიჭა არააქციზური კოდი, რის შედეგადაც სახელმწიფომ გადასახადების სახით ვერ მიიღო 160,6 ათასი ლარი.

აჭარაში რეგისტრირებული ნავთობპროდუქტების სამი იმპორტიორი ფირმის მიერ გამოწერილი დღგ-ს ანგარიშფაქტურებში დაფიქსირებული ნავთობპროდუქტების რაოდენობების იმპორტირებული ნავთობპროდუქტების რაოდენობასთან შედარებისას მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა. კერძოდ: შპს „ბარელის“ მიერ 2001 წელს და 2002 წლის 6 თვეში იმპორტირებულია 12,8 ათასი გონა ბენზინი, 2,9 ათასი გონა დიზელი და 0,9 ათასი გონა ნავთი, არადა, ამ ფირმას, გამოწერილი დღგ-ის ანგარიშფაქტურების თანახმად, რეალიზებული აქვს... 1,8 ათასი გონა ნავთობპროდუქტი. ანუ, წლინახევრის განმავლობაში იმპორტირებულის 89 პროცენტი ნამთად უნდა ერიცხებოდეს. მსგავსი მდგომარეობაა შპს „გრუზფოს“ შემთხვევაში – იმპორტირებულია 19,9 ათასი გონა ნავთობპროდუქტი, ხოლო რეალიზებულად ნაჩვენებია 10,4 ათასი გონა, ანუ იმპორტირებულის 52 პროცენტი. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ფირმები სრულად არ აფიქსირებენ რეალიზებულ ნავთობპროდუქტებს.

აჭარის საბაჟო შესამოწმებელ პერიოდში ნავთობის მსუბუქ, სუფთა და მძიმე დისტილატებს განაბაჟებდა სპეციალური საბაჟო-საგვირთო დეკლარაციების გარეშე, რითაც დარღვეულია საქართველოს საბაჟო და საგადასახადო კოდექსები.

2000 წელს, ბიუჯეტის კანონის თანახმად, აჭარის საბაჟოდან ცენტრალურ ბიუჯეტში გადარიცხვის ექვემდებარებოდა 28,1 მლნ ლარი. ფაქტობრივად, გადარიცხულია 18,7 მლნ ლარი, ანუ 9,4 მლნ ლარით ნაკლები. 2001 წელს საგადასახადო შემოსავლებიდან აჭარის საბაჟოს მიერ მობილიზებულმა ფაქტობრივმა შემოსავალმა შეადგინა 63,8 მლნ ლარი, ნორმაგივებით გათვალისწინებული 34,9 მლნ ლარის ნაცვლად ცენტრალურ ბიუჯეტში გადაირიცხა 8,5 მლნ ლარი, რითაც ცენტრალურ ბიუჯეტს 26,3 მლნ ლარი დააკლდა, ხოლო 2002 წლის 6 თვეში – 11,9 მლნ ლარი.

საბაჟო „ფოთის“ მიმეორობით განხორციელებული ექსპორტის ოპერაციებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა კომპანია „საქგაზის“ კუთვნილი ამონიუმის გვარჯილის ექსპორტის რეჟიმით გაგანა, რის პროცენტი საბაჟო მოსაკრებელი გადაახდევინა, მაშინ, როდესაც ეს საქონელი ექვემდებარებოდა საბაჟო გადასახადით, დღგ-ით და აქციზით დაბეგვრას. საქონელს არასწორად მიენიჭა არააქციზური კოდი, რის შედეგადაც სახელმწიფომ გადასახადების სახით ვერ მიიღო 160,6 ათასი ლარი.

აჭარაში რეგისტრირებული ნავთობპროდუქტების სამი იმპორტიორი ფირმის მიერ გამოწერილი დღგ-ს ანგარიშფაქტურებში დაფიქსირებული ნავთობპროდუქტების რაოდენობების იმპორტირებული ნავთობპროდუქტების რაოდენობასთან შედარებისას მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა. კერძოდ: შპს „ბარელის“ მიერ 2001 წელს და 2002 წლის 6 თვეში იმპორტირებულია 12,8 ათასი გონა ბენზინი, 2,9 ათასი გონა დიზელი და 0,9 ათასი გონა ნავთი, არადა, ამ ფირმას, გამოწერილი დღგ-ის ანგარიშფაქტურების თანახმად, რეალიზებული აქვს... 1,8 ათასი გონა ნავთობპროდუქტი. ანუ, წლინახევრის განმავლობაში იმპორტირებულის 89 პროცენტი ნამთად უნდა ერიცხებოდეს. მსგავსი მდგომარეობაა შპს „გრუზფოს“ შემთხვევაში – იმპორტირებულია 19,9 ათასი გონა ნავთობპროდუქტი, ხოლო რეალიზებულად ნაჩვენებია 10,4 ათასი გონა, ანუ იმპორტირებულის 52 პროცენტი. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ ფირმები სრულად არ აფიქსირებენ რეალიზებულ ნავთობპროდუქტებს.

სიგარეტის ნაცვლად – ცემენტი, ღვინის ნაცვლად – თხლე

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გრასის მშენებლობის დამთავრების შემდეგ ამ მილებში გამავალი ნავთობი ჩვენს ქვეყანას უდიდეს სიკეთეს მოუტანს. ამაში უკვე ეჭვი თვით უკიდურესად პესიმისტურად განწყობილთაც კი აღარ ეპარებათ.

ეროვნული ექსპერტი

ალექსანდრე ალექსიძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 80. ხუთშაბათი, 27 მარტი, 2003 წელი.

დედაქალაქი

(პირველი გვერდიდან)

რას ვაშენებთ, სად ვაშენებთ, ვისთვის ვაშენებთ?

თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების გეგმა არავის ახსოვს

საქართველოს კონგრესის პალატის მიერ ბოლო წლებში თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურში ჩაგარებული შემოწმებებით გამოვლინდა, რომ დედაქალაქის განვითარებისა და განაშენიანების სფეროში მექმნილია მძიმე მდგომარეობა, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ძალაშია ძველი, 1972 წელს დამტკიცებული თბილისის პერსპექტიული განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა. არადა, 1972 წლის შემდეგ ტრანსფორმაცია განიცადა ქვეყნის ეკონომიკამ, შეიცვალა მისი მაკრო და მიკრო ეკონომიკური გარემო, დამკვიდრდა საბაზრო ეკონომიკის ელემენტები და ასეთ პირობებში ყოველად გაუმართლებელია, დედაქალაქს არ გააჩნდეს მისი განაშენიანებისა და განვითარების თანამედროვე სტრატეგიული პოლიტიკა.

ქ. თბილისის ახალი (მე-4) გენერალური გეგმის დამუშავებისათვის წინასაპროექტო მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებაზე და გარდამავალი პერიოდისათვის ქ. თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის მოკლევადიანი (1998-2006 წ.წ.) გენერალური სქემის დასამუშავებლად ქ. თბილისის მერიის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტსა და „თბილქალაქპროექტს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ჯერ კიდევ 1997 წლის 1 დეკემბერს. ხელშეკრულების თანახმად, სამუშაოების ღირებულება შეადგენდა 716,3 ათას ლარს, ითვალისწინებდა სამუშაოთა ვადების შეცვლას რეალური დაფინანსების მასალებზე დაყრდნობით და იძლევა ქალაქის განვითარების კონცეპტუალურ პროგნოზს 2000 წლამდე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ფუჭადაა გაწეული მატერიალური დანახარჯები. ამას ადასტურებს თვით გენსქემის მიმდინარე სამუშაოთა საკონსულტაციო ჯგუფის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი შესრულებული სამუშაო არ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს და საჭიროებს რეორიენტაციას.

ამბილისის ახალი გენერალური გეგმის უქონლობამ, დედაქალაქის განვითარებისა და განაშენიანების სფეროში არსებულმა განუკითხობამ, კანონმდებლობის დარღვევებით განხორციელებულმა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობამ, შესაბამისი უწყებების კონტროლისა და ზედამხედველობის შესუსტებამ საფრთხის წინაშე დააყენა თბილისის კულტურული მემკვიდრეობა და ქალაქის ჩამოყალიბებული არქიტექტურული იერსახე.

თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურში ხელმძღვანელი პირების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და არასახელმწიფოებრივი მიდგომის შედეგად გამოულინდა მთელი რიგი უხეში დარღვევა-ნაკლოვანებები. კერძოდ, არადმაკმაყოფილებელი მდგომარეობაა შექმნილი დედაქალაქის გეგმაზომიერი განაშენიანების სფეროში. ეს ეხება განსაკუთრებით ქალაქის ისტორიულ ნაწილს. ზოგიერთი შემთხვევაში ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ხორციელდება ისტორიულად ჩამოყალიბებული იერსახის მქონე ნაგებობათა აღება, რომელთა ადგილის იკავებს განაშენიანებისათვის შეუფერებელი მოცულობისა და უსახური შენობანაგებობები. ამის მაგალითებია: აბანოთუბანი, სოლოლაკის ხეივანი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი, ლესელიძის ქუჩა და სხვა. კერძოდ, ასათიანის ქ. № 14-ში მპს „თამთას“ კომერციული ბანამშენებლობისათვის დაუმაღლა 1600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, სადაც ადრე განთავსებული იყო პირველი მუსიკალური სასწავლებელი. ამ ტერტორიაზე დაპროექტდა 8-სართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი, მაშინ, როდესაც, მიმდებარე არსებული განაშენიანება წარმოდგენილია ორ-სამ-სართულიანი საცხოვრებელი სახლებით და შენობა მთლიანად ფარავს ბეთლემის ეკლესიის მთავარ ფასადს. მპს „აიას“ დავით აღმაშენებლის პროსპექტზე გამოეყო მიწის ნაკვეთი სამომაგლოგიური პოლიკლინიკის, ოფისის და დიაგნოსტიკის 6-სართულიანი შენობის განსათავსებლად. შემდეგომ პროექტში შეტანილ იქნა ცვლილებები და ნაცვლად ოფისის და კლინიკისა, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, განთავსდა სასაუმრო 25 ადგილზე. ანალოგიური დარღვევებითა განხორციელებული მშენებლობები: მპს „მთის“, მპს „ძველი თბილისის“, მპს „ლესელიძე-17“-ის და სხვათა მიერ.

რა გამართლება შეიძლება მოეძებნოს გამწვანების ზონებში, ბაღებსა და სკვერებში გამეფებულ სრულ განუკითხაობას. შესაბამისი ორგანოების მიერ ოთხჯერ არის მიღებული ბაღებისა და სკვერების დამცავი სხვადასხვა ნორმაგიული აქტი, მაგრამ მდგომარეობა არა თუ გამოსწორდა, არამედ უფრო სავალალო გახდა. უფრო მეტიც, ჯერ კიდევ ქალაქ თბილისის ყოფილ მერს დაეკალა, დაესვა ამ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც გახცა ბაღ-პარკების (განსაკუთრებით კულტურის ბეგლთა კულტურიის) ტერიტორიებზე ფართობების გამოყოფის ნებართვა მშენებლობისა და სხვა მიზნით. მასვე უნდა განეხორციელებინა გადამწყვეტი ბიძგი დედაქალაქის გამწვანების ზონებში, პარკებში, ბაღებსა და სკვერებში სხვადასხვა მშენებლობებისა და ღანდშაფტური იერსახის შეცვლასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების თბილისის გენერალურ გეგმასთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ყოველივე შემთაღნიშნულის იგნორირებით ვაკის პარკში, 9 აპრილის სახელობის ბაღში, მუშგალიდის ბაღში, „დედა ენის“ პარკში და ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ სხვა დასვენების კერებში განთავსდა შეუფერებელი ფუნქციის მქონე შენობა-ნაგებობები. ამის მაგალითია მპს „ლაბი XXI“, რომელსაც 1998 წელს საკუთრებაში გადაეცა მიმველაძის ქუჩის ბრიდან მდებარე რეტრარაი რეკონსტრუქციისათვის იქ პირობით, რომ დირექციის დაეხმარებოდა პარკის კეთილმოწყობასა და გამწვანება-განაშენიანების საქმეში. ფაქტობრივად აღნიშნული პირობები არა თუ შესრულდა, არამედ რეტრარაის ადგილას განთავსდა რესტორანი „ყაბზეგი“, კომენტარი აქ შედგება. 9 აპრილის სახელობის ბაღში გახსნილმა რესტორნის შეპატრონემ საბაფსული ფართად გამოყენების მიზნით შემოღობა ბაღის ტერიტორიის ნაწილი, რაზეც არ არსებობს არავითარი იურიდიული საფუძველი. ამასთან, ბაღის შიგა ნაწილის გარეკეული ფართობი მიუერთეს ქაშუეთის ეკლესიის ტერიტორიას. შესაბამისი ორგანოებიდ შემცირდა ბაღის საერთო ფართობი. დღეს იგი ფაქტობრივად წარმოადგენს მიმდებარე ქუჩის შორის დამაკავშირებელ ქუჩა-სკვერს, დეკორატიული გაფორმებისა და შესაბამისი საბაღე ელემენტების გარეშე. სანაპირო, სულიაშვილისა და აბულედიანის ქუჩებს შორის არსებულ სკვერში, ბარათაშვილის სახელობის ხიდის მხარეს, მიწის ნაკვეთი საკუთრებაში აქვს დამაგრებული მპს „კანარგო სტანდარტ ოილს“, მოქმედი საკანონმდებლონორმატიული აქტებისა და გარემოს დაცვითი მოთხოვნების სრული უგულებელყოფით დღესაც მიმდინარეობს ობიექტების მშენებლობა მწვანე ნარგავებით ინტენსიურად განაშენიანებულ ტერიტორიებზე.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს დედაქალაქში სოკოებივით მომრავლებული ბენზინგასამართი სადგურები – დარღვეულია მათი განთავსების ძირითად ქალაქმშენებლური პარამეტრები. გარდა ამისა, დარღვეულები ვლინდება ბენზინგასამართი სადგურების დაპროექტების, პროექტების შეთანხმებისა და მშენებლობის პროცესშიც. მათი უმრავლესობა დაპროექტებულია და ამენებულია საავტომობილო გზებისა და მაგისტრალების გასწვრივ, ხშირ შემთხვევაში კი გამწვანების ზონებში. მაგალითად, მტკვრის მარცხენა სანაპირომუ გამომცემლობა „სამშობლოს“ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მპს „სიამის“ ავტოგასამართი სადგური, რომელიც განთავსებულია მწვანე ნარგავებით ინტენსიურად განაშენიანებულ ტერიტორიაზე და თავისი მდებარეობის გამო საჭიროებდა საქართველოს მთავრობის ნებართვას, რაც არ არის მიღებული. მპს „კანარგო სტანდარტ ოილს“ ავტოგასამართი სადგური ხეთაგუროვის ქ. № 40-ის მიმდებარედ განთავსებულია იქ არსებულ გამონში. მეტიც, მოსახლეობის უსაფრთხოების ნორმების უგულებელყოფით რეზერვუარების დაციღლება ძირითად ნაგებობებამდე 5 მეტრის ნაცვლად მხოლოდ 1, 5 მეტრია.

ისეთ პირობებში, როდა არ არსებობს ქალაქის ტერიტორიული განვითარების კონცეფცია, და განაშენიანების პროექტი, მარტო 2000-2001 წლებში აუქციონებზე გასაყიდად გაგანილმა მიწის ნაკვეთების ფართობებმა შეადგინა 854.459 კვადრატული მეტრი.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფართობების გაკარგვისას, არქიტექტურის სამსახურში შექმნილი მიწის მართვის კომისია სათანადო ყურადღებას არ აქცევს იმ ტარემოებას, თუ რამდენად გადახდისუნარიანები არიან აუქციონებსა და კონკურსებში გამარჯვებულად ფიზიკური და იურიდიული პირები. მედეგად, მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებებით თანხების განაღდება ხანგრძლივი დროით არ ხდება და დავალიანებად ერიცხებათ. 2000-2002 წლებში აღნიშნულმა დაგადიანებამ 1660 ათას ლარს გადააჭარბა და ბიუჯეტმა, შესაბამისი სამსახურების უნიათობითა და უგულოდ ბინგრეგმა, შესაბამისი სამსახურების ნებართობითა და უგულოდ ბინგრეგმა ბიუჯეტის შემოსავლები დაკარგა.

უპასუხისმგებლობის, უყაირათობის, საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების, საკანონმდებლო, ნორმატიული და ორგანიზაციული ხასიათის მოთხოვნების უგულებელყოფის ფაქტების მოყვანა მრავალად შეიძლება. თუმცა, კონგრეს პალატის მიერ წარმოდგენილი მაგალითებიც საკმარისია იმ განუკითხაობის საილუსტრაციოდ, რომელსაც ადგილი აქვს დედაქალაქის განაშენიანების საქმეში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჩაგარებული შემოწმებებიდან არც ერთი არ დარჩენილა კონტროლის პალატის მიერ რეგირების გარეშე. უფრო მეტიც, რევიზია-შემოწმებებით გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების შესახებ არაერთგზის ეცნობა საქართველოს ურანაბინაისა და მშენებლობის მინისტრსა და თბილისის მთავრობას და, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, მათი მხრიდან ამ ფაქტების არანაირი რეგირება არ მოჰყოლია.

ამდენად, დედაქალაქში შექმნილი მძიმე ქალაქგეგმარეთითი პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია თბილისის პერსპექტიული განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის დროულად დამთავრება, რამაც ოპტიმალური და ეფექტიანი მიმართულება უნდა მისცეს დედაქალაქის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის განვითარებას, განსაკუთრით ახლო მომავლისა და შორეული პერსპექტივის მიზნები და ძირითადი პარამეტრები. ამგვარი საპროექტო დამუშავებები კი ობიექტური საფუძველი გახდება იმისათვის, რომ შემუშავდეს თბილისის მაკროეკონომიკური და სოციალური განვითარების ტერიტორიული მართვა-რეგულირების კონცეპტუალური ბოდელი სახელმწიფოებრივი და საბაზრო რეგულირების ბაზის ინიციატივის შეფასებლ დაკარგა.

**ეს ეხება ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, ელექტრონულ ბიბლიოთეკებს, ინფორმაციულ ბანკებს, ინფორმაციულ ბაზ

ᲮᲡᲝᲕᲜᲐ ᲒᲣᲚᲘᲡᲐ

36 წელიწადი მინისტრის სავარძელში

ᲯᲐᲚᲐ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ

ᲫᲘᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ და ოჯახის შექმნა საკაცობრიო კულტურის ძირიც არის და მწვერვალიც. და, თუ მას დიერთო უშვილობა, ეს უკვე დარდია. მაგრამ ამ დარდს გონიერი ადამიანები გრადიციულად, შვილის აყვანით, დროზე აქრობენ. სწორედ ასე მოიქცნენ გასული საუკუნის დასაწყისში ქალაქ შუგდიდის მკვიდრნი მსხვილ ᲧᲘᲠᲜᲐᲚᲘᲐ და მისი მეუღლე. მიგა სიორდია, როცა გვარის შეუცვლელად შვილად აყვანეს შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი ნეიროქირურგი ბონდო ჩიქოვანი. მზე ჩადგა ახალგაზრდა დედ-მამის თვალებში... მაგრამ ბედნიერების ღიმილი კიდევ წინ იყო! პაკარა ბონდოს შედიზედ ბევრდა ამოუდგნენ ძმები — ხვიჩა-ხვიჩა ბიჭები დავით და გოგომა ჯიჭონაიები.

ნადდად, მისა ჯიჭონაიას შესანიშნავ სამეუღლე თავისი ადნაგობით, აღზრდით, პროფესიონალიზმით, საზოგადოებრივი აღიარებით სათითაოდ შეიძლება ბევრის წერა და ლაპარაკი, მაგრამ მე მინდა მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე, ბაგონ დავითზე შევჩერდე, რომელსაც დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა.



ᲓᲐᲕᲘᲗᲘ ᲧᲘᲠᲜᲐᲚᲘᲐᲡ ბავშვობამ, სიყმაწვილემ, სამუალო სკოლის ასაკმა შუგდიდში სწრაფად გაირბინა. შემდეგ იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლისა და სტუდენტური ცხოვრების პერიოდი, რომელიც დაწყო 1934 წელს. და, თუ როგორ სწავლობდა, ამაზე უტყუარ პასუხს იძლევა 1936 წელს უნივერსიტეტის მიერ გამოცემული წიგნი-ალბომი „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ წარწერით: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ფრაადოსან სტუდენტს დავით ჯიჭონაიას ეკონომიკური ფაკულტეტისაგან. ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი პროფ. ს. ბერიძე. ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის გამგე პროფ. ვ. გოგეშელი“.

ცხადია, სტუდენტმა სახელმწიფო უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა. ახლა მთავარი და უფრო რთული იყო მიღებული თეორიული ცოდნის ცხოვრებაში რეალიზაცია. სამსახურის ძებნაში ფიქრი არც დასჭირვებია. უნარიანს და ნიჭიერს სამსახური თვითონ ეძებდა. იყო უამრავი შემოთავაზება. მაგრამ ფინანსთა სახალხო კომისარიატში ჯერ კიდევ სტუდენტობისას ე.წ. პრაქტიკაზე „დაადგეს თვალი“ და მათ წინადადებაზე უარი ვერ თქვა. სულ მალე ადგილობრივი ბიუჯეტების სამმართველოს უფროსის მარჯვენა ხელი გახდა. სამი წლის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო კონგრესში გადაიყვანეს და ჩაბარეს მთელი განათლების სფერო. ეს იყო 1940 წელს.

დავითმა აქაც მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობით, უანგარობითა და ოპერატიულობით გამოკვეთილად აჩვენა თავი. ამიტომაც საქართველოს მამინდელი ხელმძღვანელობის რეკომენდაციით 1944 წელს იგი აირჩიეს შუგდიდის აღმასრულებელი ხელისუფლების თავმჯდომარედ. მშობლიურ რაიონში, უშუალოდ თავის ხალხთან მუშაობამ ახალი იმპულსი მისცა მისი უნარის გაქანებას. იმ წლებში რაიონმა სამეურნეო-კულტურულ მშენებლობაში თვალსაჩინო აღმავლობას მიაღწია. საერთო წარმატებათა ერთ-ერთ უშუალო ორგანიზატორს დავით ჯიჭონაიას 1948 წელს სახელმწიფოს უმაღლესი ორდენი და სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა.

შუგდიდის შემდეგ ერთი პერიოდი სულ ცოტა ხნით იმუშავა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. და 1950 წელს მოულოდნელად გადაწყვიტა სასწავლებელში წასვლა. ალბათ, მან მანინაც კარგად იცოდა ცხოვრებისეული ჭეშმარიტება, რომ, რანაირიც უნდა იყოს სასწავლებელი, ვერანფერს ისე ვერ ისწავლი, მთელი სიცოცხლის მანძილზე გაგწვდეს; იცოდა, სიჭაბუკეში შეძენილი ცოდნა ცხოვრების დასასრულამდე მაინც არ ეყოფოდა. მალე გონივრულ ჩანაფიქრს ხორცი შეესხა და იგი ჩაირიცხა სსრკ კავშირის საფინანსო აკადემიაში. მისი დამთავრების შემდეგ, 1953 წლის ივნისში, დაინიშნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრად. და იცით, უწყვეტად ამ თანამდებობაზე რამდენი წელიწადი იმუშავა? 36 წელიწადი! ამ ხნის მანძილზე ასე უცვლელად იყო აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი... იყო დაფასებაც, აღიარებაც, ჯილდოებიც. მაგრამ აქედან ყველაზე მთავარი — ხალხის დიდი სიყვარული.

ასეთია დავით ჯიჭონაიას ანკეტიდან მშრალი ამონაწერი.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, დღევანდელობის ფონზე 36 წელიწადი უცვლელად ფინანსთა მინისტრობა? როცა ჩვენს დროში, ყველას თვალწინ, სავარძლისთვის ადამიანები ერთმანეთს ხოცავენ. ალბათ, ეს არც არის გასაკვირი. რადგან, ხშირად კაცმა არც იცის, ვინ საიდან მოვიდა, როგორ მოხვდა ამ სავარძელში, ან რისი იმედით უპოტენციბა ახალ სავარძელს. კიდევ მეტი, ზოგიერთი მათგანი არის საკუთრების მანიაკი, უზნეო, მინიგანად გაცცალეთ ფული პაკარა, ვიდრე თვით სკამი. არ არის სადავო, რომ ცხოვრება თავისთავად არის უსაზღვრო. მაგრამ ღირსეული პიროვნებები (და არა კატუნები) ყოველთვის ახერხებენ ამ ცხოვრებაში საბლვარი დაუდონ თავიანთ მოქმედებას. სწორედ ასეთი იყო ბაგონი დავითი. მას არასოდეს არ გაუხდია თანამდებობა კომერციის საგნად. ამის დასტურია დღესაც ქ. შუგდიდში, ა. წერეთლის 125-მი, დედმამისეული ჭაბლის დაბალი ოდა სახლი. დავითს სხვა სახლი, გარდა ერთი კომუნალური ბინისა სოხუმში, არსად არ ჰქონია!

მდგომს „მორცხვად“ ეკითხებიან: ვინ იყო იგი? მაგრამ დავით ჯიჭონაიას მიმართ ასეთი შეკითხვა, ალბათ, არც არასოდეს დასმულა, რადგანაც პირველი შეხვედრიდანვე იგი შენში გოვუბდა წარუშლელ კვალს. ამასთან თვითონ იყო სასიამოვნო მოსაუბრე და საოცარი ყურადღებით მომსმენი. ნათესავის, ახლობლის ხაზგასმულად მოსიყვარულე, სინათლითა და სიკეთით სავსე პიროვნება. იცოდა სიტყვის ფასი. ვერ იგანდა როეიო თქმას. თვითონაც ლაპარაკის დროს იყო საოცრად კორექტული და ფხიზელი, სად, როდის, ვისთან რა ეთქვა. ჰქონდა მსუბუქი და მახვილი იუმორი. და, თუ იგი კონკრეტულ პიროვნებას შეეხებოდა, კი არ ქირდავდა ან აკნინებდა. პირიქით, ვისაც ეხებოდა, ეფერებოდა, ამაღლებდა, მაგრამ თან ამ იუმორით ქცევის ნაკლს უმტკივნეულოდ აცლიდა. ამიგომაც საზოგადოებაში მის ყოველ გამოჩენაზე, ეს იქნებოდა შუგდიდი, თბილისი თუ მოსკოვი, მის გარშემო მაშინვე თავს იყრიდნენ ადამიანები. ჯერ უფროსი თაობა შეკრავდა წრეს. მერე მომდევნო ნამდვილად დიდი კაცი იყო ბაგონი დავითი. მასში თითქოს შეწყმული იყო მიწიერიც და ზეციერიც. მის შინაგან ხიბლს გარეგნული ეერი ასხივოსნებდა. ეგნეტიკურად კოდირებული, გამოკვეთილად იჯდა საკუთარ გენეტიკურ მაგრიცაში. მან მშვენიერად იცოდა, რომ საქმე ითხოვდა სერიოზულობას, სიმკაცრეს და დროზე ახერხებდა კიდეც თავის გარშემო თვითნებობის ალაგმვას. ამიგომაც გახლდათ ნაღდი საქმეში და ლაღი — ცხოვრებაში. მუდამად იყო კვანძი და დამბალასნებეული ადამიანური ურთიერთობისა. განსაკუთრებით კი აფხაზეთში, სადაც, თვით სსრ კავშირის არსებობის პირობებში, არცთუ იმვიათად ჩრდილოეთიდან ქროდა იმპერიული ბრიმბები. ასეთ ვითარებაში მაცდური ნაპირის ქარი ქარიმხლად რომ არ გადაბრდილიყო, აფხაზ და ქართველ ერისკაცებთან ერთად იგი ფხიზლად და მტკიცედ იდგა თავის ადგილზე.

გამოცდილ, უმაღლესი კვალიფიკაციის აფხაზეთის ფინანსთა მინისტრს პაგიეს სცემდნენ, აღიარებდნენ საკავშირო ფინანსთა მინისტრები არსენგ ზვერევიდან მოყოლებული ვასილ გარბუზოვის ჩათვლით. საქართველოს ყოფილი ფინანსთა მინისტრის ბაგონ ფარნაოძ ანანიაშვილის მონათხრობის მიხედვით, იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ცნობილი ფინანსთა მინისტრებიც კი, როგორებიც იყვნენ კონდრატე ციმაკურიძე, ბეკან ჩხეიძე, აჩრილ ჭირაქაძე და სხვები, ცალკეული პრობლემების დადებითად გადაწყვეტას აღწევდნენ აფხაზეთისაენ კრემლის მინისტრებთან ბაგონ დავითის მასპინძლობით პირადი შეხვედრების დროს.

ცხოვრებაში არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ადამიანები ერთმანეთს ესალმებიან, მოიკითხავენ კიდეც და მერე გვერდზე და ბოლოს კი სმენას მიავაყრობდით ახალგაზრდები. მართალაც, რა კარგი იყო მაშინ!

და დღეს ბაგონი დავითი თავის დაბადების 90 წლისთავზე უკვე საკუთარი მოღვაწეობის ისტორია გახდა. თუმცა ადამიანი სხვა არაფერია, თუ არა ის, რასაც აკეთებს, ანუ არის თავისი მოქმედების ჯამი.

და ბოლოს, 1991 წლის 4 ივლისი, ხუთშაბათი... სოხუმში მშიანი ამინდია. სოხუმის ფუნიკულიორის სამოგადო მოღვაწეთა პანთეონში მიასვენებენ დავით ჯიჭონაიას ცხედარს. ქუჩა ვერ იგეკვს სამგლოვიარო პროცესიას. ნელა მიემართება მდვა ხალხი. ჭირისუფალთ მდუმარედ მიაყვებიან ქართველები და აფხაზები, რუსები და სომხები, უამრავი სტუმარი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან... ამ სალრთო მუშაობას ემოციებს აყოლილს რაგომღაც ამეკვიატა ძველი რომაელების ნათქვამი: „იცოცხლე ცეზარ, სასიკეთოდ მიმავალნი მოგესალმებიან შენ!“ მას შემდეგ წლები გავიდა. ბევრი რამ გადაფასდა. დავითის მეუღლემ, ქალბატონმა ნანომ ვერ აიგანა ლტოლვილობა და თბილისის მიწას მიებარა. ვაეიშვილი გიორგი თავისი ოჯახით მამაცურად იმიარუს ათასობით ლტოლვილთა ხვედრს. სახელოვანი ბაბუას სეხნია პაგარა დათო ყოველდღე წკრიალა ხმით ამბობს: მე სოხუმში მიეფეგარ.

ღმერთმა უსმინოს! ალბათ, ეს დროც დადგება. მანამდე კი სოხუმში ჭეშმარიგი აფხაზები დღესაც მოწიწებით თავს ხრიან დავით ჯიჭონაიას ეულად დარჩენილი საფლავის წინაშე. ასეთია ძალა სიკეთით მექმნილი ადამიანური სიყვარულისა.

ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲓᲘᲔᲚᲘᲐ.

ᲬᲘᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ!

ძველი გვარდია ახალ ბაზაზე

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲘᲠᲓᲘᲓᲐᲜ



მან, უპირველესად, მასპინძელთა თაობაზე ისაუბრა და განაცხადა: — საბოლოოდ გამოირიცხა ნაკრების გრავირებული კაპიტანის კახი კალაძის თამამი, თუმცა, არის სასიამოვნო შევსებაც — კერძოდ, შეკრებაზე იმყოფება ძველი გვარდიის ის ბირთვი, რომელიც წლების განმავლობაში განსაზღვრავდა და დღესაც განსაზღვრავს გუნდის სახეს — ქეცბაია, ნემსაძე, ქინქლაძე, მოთა არველაძე და ჯამარაული.

რაც შეეხება უახლოეს მეგოქეს, ბრიგანელები ალბათ, ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე წევრის (პარგი, კელი, მაკეიგირი, რობი კინი) გარეშე გვეწვევიან, მაგრამ ამ ფაქტს შეიძლება მათთვის სასიკეთო შედეგიც კი მოჰყვეს და მარშანდელი „მუნდიალის“ მსგავსად, როცა გუნდს რიო კინი დააკლდა, კიდევ უფრო მედუღაბდეს და ერთ მუშგად მეიკრას. ჩვენ სტუმართა სამი უკანასკნელი თამამის ვიდეოკასეტა გვაქვს და მათი მესაძლებლობების გათვალისწინებით, თამამად შემიძლია გავაკეთოთ, — ურთულესი ბრძოლა გველენება, თუმცა, ორივე მატჩში ქულათა მაქსიმუმის მოსაპოვებლად გავალთ „ლოკომოგივის“ სტადიონის მინდორზე.

აქვე გაუწყებთ, რომ ირლანდიელებთან შეხვედრას ბერძენი, ხოლო მვეიცარიელებთან — ხორვაგი მსაჯები გაუძღვებიან.

ᲒᲘᲐ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.
ᲒᲣᲜᲓᲘ ᲡᲐᲜᲐᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

გაუმარჯოს შეთავსებას?

ᲣᲙᲕᲔ გაუწყეთ, რომ **დრაჟენ ბრაიკოვიჩი** საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების თავკაცად დანიშვნას შეიძლებოდა არ დასჯერებოდა და ერთ-ერთი კლუბის მთავარი მწვრთნელობა შეეთავსებინა. ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ, როგორც ეს პროგნოზი გამართლდა — გუმინ ხორვატი სპეციალისტი თბილისის „დინამოს“ ჩაუდგა სათავეში და ერთბაშად ორ ფრონტზე მოსინჯავს ძალებს.

მისი წინამორბედი ლევან მოსესეილი, საგარაუდოდ, გუნდის ტექნიკურ დირექტორად დაინიმნება.

ᲧᲐᲜᲘᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲘᲯᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲘᲯᲐᲜᲘᲓᲐᲜ

სერენა — წლის საუკეთესო მოთამაშე

ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲘ ოჯახის უმცროსი ქალიშვილი — სერენა აღიარეს „WTA Tour“ **2002 წლის მოთამაშედ“.**

**გასულ სეზონში 21 წლის ჩიგბურთელმა მოიპოვა 8 გიგა ლი, აქედან — სამი „დიდი შუბარადის“ გურნირებზე — ს

საქართველოს რესპუბლიკა
№ 80, ხუთშაბათი, 27 მარტი, 2003 წელი.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

თელავის ქართული სალსური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ცენტრში გუნდის ხელმძღვანელი ფირუზ მახათელაშვილი). 1947 წელი. მარჯვნიდან მესამე თინა დალაქიშვილი.

სურათი მოგვაწოდა ლალი ჯაფარიძისგან.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ჯანდაცვა

კატარაქტით დაავადებულ 1000 უმწეოს ოპერაციას უფასოდ გაუკეთებენ

საქართველოში მცხოვრებ 1000 უმწეო უსინათლოს, რომელთაც ესაჭიროებათ ექსტრაკაფსულური კატარაქტის ექსტრაქცია ხელოვნური ბროლის იმპლანტაციით, ოპერაციებს უფასოდ გაუკეთებენ. ამის შესაძლებლობას კი ქართულ-გერმანული ერთობლივი პილოტური პროექტი იძლევა, — ეს ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გაბმრელიძემ.

პროექტის შესაბამისად მსოფლიოში ცნობილი არასამთავრობო ოფთალმოლოგიური ჰუმანიგარული ორგანიზაცია კრისტოფელის (გერმანია) უსინათლოთა მისია უმრუნველყოფს საქართველოს მხარეს საოპერაციო მასალით, ჯანდაცვის სამინისტრო კი ოპერაციას დაფინანსებს. მარმან დეკემბერში საქართველოსა და გერმანიის მხარის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმით, ოპერაციები ძირითადად, თბილისში, თვალის სნეულებათა კლინიკა „მზერამი“ გაკეთდება.

პროექტი აპრილის შუა რიცხვებიდან დაიწყება, მანამდე კი ჯანმრთელობის სამინისტროს, კლინიკა „მზერას“ და საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შეთანხმების შესაბამისად, სპეციალური სამმხრივი კომისია შეარჩევს კატარაქტით დაავადებულ ყველაზე უმწეო 1000 პაციენტს თბილისსა და რეგიონებში, რომლებსაც წლის განმავლობაში ოპერაცია უნდა გაუკეთონ.

მინისტრის ინფორმაციით, საქართველოში ყოველწლიურად კატარაქტით 2,5-3 ათასი ადამიანი ავადდება. ქვეყნის წამყვანი ოფთალმოლოგიური კლინიკები წლის განმავლობაში ათასამდე ასეთ ოპერაციას აკეთებენ. ამ 1000 ოპერაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტი მხოლოდ 300-400 ოპერაციას აფინანსებდა. გერმანული მხარის დახმარება ითთო ოპერაციის ღირებულებას 600 ლარიდან 200 ლარამდე შეამცირებს და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე გაკეთებული ოპერაციების რიცხვს 3-ჯერ გაზრდის.

* * *

– ასე გახმაურებული მწვავე რესპირატორული სინდრომის შემთხვევათა რიცხვი ყოველდღიურად მაგულობს, – თქვა ბრიფინგზე დაავადებულთა კონგროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა **პაატა იმნაძემ,** დღეისათვის მსოფლიოში ამ დაავადების უკვე 460 შემთხვევა დაფიქსირდა. ვირუსით გამოწვეული გართულებების შედეგად 1 თებერვლიდან დღემდე 17 ადამიანი გარდაიცვალა.

დაავადების მაგება ძირითადად აღინიშნება ჰონკონგში, ვიეტნამსა და სინგაპურში. ახალი შემთხვევები ისევ ავადმყოფთა ოჯახის წევრებსა და სამედიცინო პერსონალზე მოდის.

მარმან ნოემბერში მსგავსი დაავადების პირველი შემთხვევები აღირიცხა სამხრეთ ჩინეთში, სადაც თებერვლისათვის დაავადებულთა რიცხვმა 305-ს მიაღწია. ჩინეთის გარეთ პირველი შემთხვევები, როგორც ვიუწყებოდით, ვიეტნამში თებერვალში გამოჩნდა.

12 მარგიდან უცნობი დაავადების შემთხვევები გამოვლინდა კანადამი, გერმანიამი, გაიეანმი, გაილანდში, იგალიამი, დიდ ბრიგანეთში, აშშ-ში, შვეიცარიამი, სლოვენიაში, ესპანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში. ყველა ეს შემთხვევა დაკავშირებული სამხრეთ ჩინეთში, ვიეტნამში, ან ჰონკონგში ყოფნასთან.

უცხოელი ვირუსოლოგების აზრით, დაავადების გამომწვევი შედეს ყბაყურას, წითელას, პარაგრიპის, „ძაღლების ჭირის“ ვირუსების ჯგუფში, მაგრამ არც ერთი მათგანის იდენტური არ არის. ეპიდემიოლოგები ამ დაავადების ბიოდიეფრსიის შედეგად გავრცელებას გამორიცხავენ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებულია რეკომენდაციები მოგზაურთათვის და ავიაკომპანიებისათვის, დაავადების შესაძლო შემთხვევის აღმოჩენის შემთხვევაში მოქმედების შესახებ. ჯერჯერობით არ არის რეკომენდაციები მგზავრობისგან თავის შეკავების ან რამე სხვა შეზღუდვის შესახებ.

დაავადებულთა კონგროლის ეროვნული ცენტრი (დეკც) და საქართველოს საზღვრის გამგარ პუნქტებზე სახელმწიფო სანიგარიული ზედამხედველობის ინსპექცია გადასულია მუშაობის გაძლიერებულ რეჟიმზე. აეროპორტში სრულდება ყველა რეკომენდებული ღონისძიება.

დეკც ექსპერტები, საქართველოში აღნიშნული დაავადების გავრცელებას ამ ეტაპზე არ ვარაუდობენ.

ბელა დურგლიშვილი.

საგანგებო ლეგიონი

ფქვილი კონგრაბანდისგებსაც ამწარებთ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონის დანაყოფებმა ანტიკონგრაბანდული დონისძიების შედეგად 25 მარტს გამოავლინეს 32 კანონდარღვევის ფაქტი.

ლეგიონის პირველი სამმართველოს პირველი ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა დაკავეს „კამაზის“ მარკის საგვირთო ავტომანქანა, რომლის მფლობელსაც უფლებამოსილება გადაჭქონდა 19 ტონა პურის ფქვილი. ლიფოს გერმინალ „ლილო-1“-ში წარდგენილია სამი „ფორდ-გრანზიგის“ მარკის ავტომანქანა, რომელთა მფლობელებსაც ასევე უფლებამოსილება გადაჭქონდათ სხვადასხვა სახის სასურსათო საქონელი. ამავე პერიოდში გამოვლენილია ნავთობპროდუქტების უკანონოდ გადაზიდვის ორი შემთხვევა. დაკავებულია „კამაზის“ მარკის ორი ავტოცისტერნა, რომლებითაც კონგრაბანდისგებს გადაჭქონდათ შვიდი ტონა დიზელის საწვავი.

ამავე პერიოდში საგანგებო ლეგიონმა გამოავლინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 25 ფაქტი. აქედან 6 არამარეკერებული საქონლის გადაგანის, 18 სამეწარმეო საქმიანობისა და ერთი ვაჭრობის წესის დარღვევა.

ექვს ფაქტზე სამართალდამრღვევებს დაეკისრათ ადმინისტრაციული სახდელი, 19 მასალა გადაგზავნილია სასამართლოში.

ზოთა მაჭარაშვილი.

ლიმილის დოზა

ცოლ-ქმარი ექიმთან მივიდა:
— ექიმო, იცით, არაფერი გამოგვდის.
— როგორ ცდილობთ?
— მარჯვენა გვერდზე.
— თქვენც მარცხენაზე დაწექით.
— მარცხნიდან ტელევიზორი არ ჩანს!

* * *

ბალაზიბეი მყიდველი გამყიდველს ეკითხება:
— მითხარით, სად ზის თქვენი შეფი?
— თქვენ რა იცით, რომ ზის?!

* * *

სასაშლაზეზე მოხუცი დასაფლავეს, ყველა წავიდა. ახლად მინადგრილ საფლავთან დარჩა ქვრივი და მესაფლავე.
მესაფლავე:
— რამდენი წლის იყო ცხონებული?
— 101-ის.
— დიდხანს უცოცხლია. თქვენ რამდენის ბრძანდებით?
— 98-ის.
— იქნებ აზრიც არა აქვს შინ დაბრუნებას?

* * *

— ჩვენმა შესანიშნავმა შვილმა ჩემი საფულედან ფული ამოიღო, — ეუბნება ქმარი ცოლს.
— რატომ გგონია, რომ მან ამოგაცალა ფული? იქნებ მე ავიღე?
— გამორიცხულია! შენ რომ აგეღო, კაპიკსაც არ დამიტოვებდი, აქ კი რაღაცა მაინც დარჩა.

* * *

ძალმა მეგობარს შესჩივლა:
— ჩემი ძველი კაბები ამ ბოლო დროს ჩემს ქმარს ძალიან მოსწონს.
— თვითონ გეუბნება?
— დიახ, თვითონ, როგორც კი ვიწყებ საუბარს ახალი კაბის ყიდვის აუცილებლობაზე.

ბანკსხანდიბა ქოფეკუჩსიის შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებენ საერთაშორისო კონკურსს შპს „საქართველოს რკინიგზის“, სს „მადნეულის“, „ფოთის პორტის“, მათი ფილიალებისა და შვილობილი საწარმოების შემმოწმებელი დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის გამოსავლენად.

კონკურსთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია განთავსებულია ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე. ინტერნეტ-მისამართი:

www.mof.ge

საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა და საზოგადოებრივი გაერთიანებების მუშაკთა პროფესიული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მარგვილის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე
ალექსანდრე (ალიოშა) იოსების ძე გვალია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილი შოთა გიგაური, რძალი ნანა უტულავა, შვილიშვილები მანანა, სათუნა გიგაურები, სიე ოთარ აბდალაძე, შვილთაშვილები ნინო, გურამ აბდალაძეები, დისწულები ნინო, ელიკო, გრიშა, გოგი ვეშაგურები, ლილი ზაქაიძე ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნინო ბიერბის ასული პატაშური
პანაშვიდი 27, 28 III, 4 სთ. ფანასკერტელის ქ. (ყოფილი იყალთობახტრიონის), VI კორპ. I სადარბაზო, IX სართული. დაკრძალვა 29 III, დაბა ფასანაურში.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანაშმრომლები სამძიმარს უცხადებენ გაზეთის ძველ თანამშრომელს შოთა გიგაურს დედის
ნინო პატაშურის
გარდაცვალების გამო.

გულნაზი სილაგაძე-ფანჯიკიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს კოკა კუტუბიძეს დედის
შაფია წულაია-კუტუბიძის
გარდაცვალების გამო.

მარინე ლომიძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს კოკა კუტუბიძეს დედის
შაფია წულაია-კუტუბიძის
გარდაცვალების გამო.

კლიმენტი შელია, ნაპოლეონ ლემონჯავა, იოსებ კაპანაძე, აბესალომ გადილია, გივი როგავა, ოთარ მიქიაშვილი, ჯემალ ჯინჯიხაძე იუწყებიან გრიგოლ შარიას დის
მარიოს
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მწუხარებაში განსვენებულის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება „ეგრისის“ აქციონერები და თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ქალბაგონ ლილი სუხიგაშვილს და ბაგონ თეიმურაზ ღოლობერიძეს მამის და სიმამრის
ალბერტ სუხიტაშვილის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ტელერადიოკომპანია „მერ“-ის საქართველოს წარმომადგენლობა თანაგრძნობას უცხადებს გიორგი ჭუმბურიძეს ბიძის
ალექსე (შურა) სიმონიას
გარდაცვალების გამო.

შოთა გორგოძე და გივი გორგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი
ალექსანდრე (შურა) სიმონია
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობა თანაგრძნობას უცხადებს კადრების სამმართველოს უფროსს ჯუმბერ ხომასურიძეს სიმამრის
ბიბი ხველელიძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვის და კორუფციასთან ბრძოლის კავშირი სამძიმარს უცხადებს იგორ ქირიას მეულის
ლია ალექსანდრეს ასულ შანავა-ქირიას
გარდაცვალების გამო.

ვიგალი და ფაგი ხაზარაძეები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი მამულიშვილი
რევაზ დავლიშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ხსოვნა

ოთარ დიდებულიძე

შესანიშნავად ამართლებდა თავის გვარს, მართლაც რომ დიდებული პიროვნება იყო, პატიოსნებით, ადამიანების პატივისცემითა და სიყვარულით აღსავსე, ყველას მომფერებელი და მომკითხავი, ქართული სპორტული მოძრაობის ისტორიის სიამაყე. აი, ასეთი კაცი წავიდა 90 წლისა ამ ქვეყნიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტამდე დამთავრებული ჰქონდა პოლიტექნიკური სასწავლებელი, მთელი თავისი ცხოვრება სპორტს დუთმო. ქართველ მოფარიკაკეთა უფროსი თაობა, რომელიც საფუძველს უყრიდა ჩვენში სპორტის ამ სახეობას, განსაკუთრებით აფასებდა მის ღვაწლს. პირველი სპორტის ოსტატიც ის გახდა საქართველოში. მერე სამწვრთნელო ასპარეზზეც მოსინჯა შესაძლებლობები და აქაც წონადი სიტყვა თქვა. ათეული წლების განმავლობაში მაგებდნენ სიძლიერეს ქართულ სპორტს მისი შეგირდები. სხვებთან ერთად მისი გამოზრდილები არიან სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონები გიორგი გოგელია და გურამ დათიაშვილი. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება. მსაჯობდა კიდეც – გახდა საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ოთარ დიდებულიძემ, როგორც პედაგოგმა, დიდი წვლილი შეიტანა მომავალი სპეციალისტების აღზრდაში ფიზკულტურისა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში მუშაობის წლებში. მეორე მსოფლიო ომშიც გამოიჩინა თავი – მონაწილეობდა პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში და მამაცობისათვის დაჯილდოვდა „გრიუნვალდის ორდენით“, მედლებით: „ვარშავის აღებისათვის“ და „ოდერის აღებისათვის“. საბჭოთა მთავრობამ კი საბრძოლო „წითელი დროშის ორდენითა“ და „სამამულო ომის“ II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

ქართულ სპორტში გაწეული ამაგისათვის მიენიჭა „საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის“ წოდება, დამოუკიდებელ საქართველოში კი „ღირსების ორდენით“ დაჯილდოვდა.

უსაქმოდ ღრმა მოხუცებულობაშიც არ უცხოვრია. როგორც საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, აქტიურად ბრუნავდა ღვაწლმოსილი ადამიანების ბედზე, მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე. დღე არ გავდოდა, რამდენიმე მათგანს თუნდაც ტელეფონით არ შეხმიანებოდა, არ მოეკითხა. ასეთსავე ყურადღებას იჩენდა, საერთოდ, ყველას მიმართ.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი და რაინდული სულის პიროვნება, ადამიანი, რომელშიაც ჰარმონიულად იყო შერწყმული სულიერი და ფიზიკური მომზიბველლობა. შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს ო. დიდებულიძის ამაგს და სამარადისოდ სათუთად შეინახავს მის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფარიკაობის ეროვნული ფედერაცია.

ჯამლეთ ბაბილაშვილი თანაგრძნობას უცხადებს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორის მოადგილეს დავით ბოჭორიშვილს მამის
ბიერბე ბოჭორიშვილის
გარდაცვალების გამო.

თბილისის პროკურატურა სამძიმარს უცხადებს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურორის მოადგილეს ბაგონ დავით ბოჭორიშვილს მამის
ბიერბე ბოჭორიშვილის
გარდაცვალების გამო.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის კოლეგიები სამძიმარს უცხადებს ამავე რაიონის პროკურორის მოადგილეს დავით ბოჭორიშვილს მამის
ბიერბე ბოჭორიშვილის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროებში, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში მოკვლევის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებამე ზედამხედველობისა და მაკონტროლებელ ორგანოებთან ურთიერთობის სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დავით ბოჭორიშვილს მამის
ბიერბე ბოჭორიშვილის
გარდაცვალების გამო.

გვწერენ

უმადურობა ჩემი ხასიათის თვისება არ არის

ამ რამდენიმე დღის წინათ ინტერვიუ მთხოვა ჟურნალ „სარკის“ კორესპონდენტმა. ვისაუბრეთ ხელოვნებაზე, ყოფაზე, ჩემს ტკივილსა და მარტოობაზე, იმაზე, როგორ მიჭირს ედგუჯას გარდაცვალების შემდეგ.

მაგრამ, გუშინ ტელევიზიის ეთერში ჟურნალ „სარკის“ რეკლამაში გისმა ფრაზა: „ელგუჯა ამბობდა, ოჯახი საფლავს ვერ უკეთებს“. ოჯახი საფლავს არ უკეთებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მასზე მრუნავ მთავრობამ (პრეზიდენტმა) ბიღო თავისთავზე.

ეს ტაკერით მინიშნებულია წერილში, მაგრამ მე უნდა გარკვევით ვთქვა, სენსაციური სათაურის გასაბაბთილებლად, რომ ჯერ ერთი: გამოხატავდე კი მიჭირს ჩემი დიდი მადლიერებისა ბაგონი პრეზიდენტის მიმართ, რომელმაც ამ დუხჭირ დროში მამინეკ მოაწერა ხელი მხატვართა კავშირის შუამდგომლობას საფლავის კეთილმოწყობის და ალბომის გამოცემის შესახებ. მე, მეიძლება, ბევრი ნაკლი მქონდეს, მაგრამ უმადურობა ჩემი ხასიათის თვისება არ არის.

და მეორე: ელგუჯა ამაშუკელი მეორედ მოკვდებოდა, რომ მხედავდეს, რა დღეში ვარ ახლა, ნათქვამია ჩემი ძმიმე სულიერი მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც გამოიხატება ყველა ჩემს ბოლოდროინდელ ლექსში, რომლებიც დაბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“, „ჩვენს მწერლობაში“, „აირლილი“, „24 საათში“. როგორც ერთი დიდი მწერალი ამბობს, პატარა სიყალბე დასამვებია ნოველაში, რომანში, მაგრამ ლექსში – ერთი მისხალიც კი არა.

რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს, იქიდან თვითონ დამარეკეს, რომ მივსულიყავი და ხარჯთაღრიცხვა წარმედგინა. წვალება თუ „ჯვარცმა“ არა ამ დაწესებულების ბრალია, არამედ ჩემი ხასიათისა. იმ ინსტანციების გავლა, რომლებიც ყველა ქვეყანაში არსებობს და უფრო მკაცრიც, ვიდრე ჩვენთან, თავისთავად რთულია და დროს მოითხოვს, რაც მე ყოველთვის მიჭირდა, ახალგაბრდობაშიც კი.

ფინანსთა მინისტრის, ბაგონი მირიან ბოგიანშვილის დიდად მადლობელი ვარ გულისხმიერებისთვის. ჩემი ცხოვრების მიზანია ედგუჯას სახელის და ხსოვნის მოვლა და ვინც ამაში ხელს მიწყობს, ჩემგან მხოლოდ პატივისცემის და მადლიერების გრძნობას იმსახურებს. დიდუბის პანთეონში საფლავზე ქვა რომ არ დევს, არა ვინმეს გულგრილობის ბრალია, არამედ დროის, ვერმოსწრების.

ამიგომ, მე მირჩევნია, დავწერო პასუხები იმ კითხვებზე, რომლებსაც ინტერვიუერი დამისვამს და ჩემი დაწერილი დაბეჭდოს, სადაც დაცული იქნება ჩემი სტილი და აზრი. ამ შემთხვევაში ჟურნალისტისთვისაც გაიოლდება, რომ არ დადგეს სენსაციის ცდენების წინაშე და მეც ბოდიმის მოხდა არ დამჭირდება იმ ადამიანებთან, ვისთვისაც მადლობის გარდა არაფერი მეთქმის.

ლია სტურუა.

სიახლე

საზღვარ პოლიციის საქმიანობის ამსახველი გვერდი „ინტერნეტში“ ქართულ „და ინგლისურ ენებზე

საზღვარ პოლიციის საქმიანობის შემდგომი გაშუქირვალობის უზრუნველყოფის მიზნით „ინტერნეტში“ განთავსებულია საგზაო პოლიციის საქმიანობის ამსახველი გვერდი (საიგი – www.pol.ge), სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ მაქსიმალური ინფორმაციები მიიღონ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

საქართველოს ცენტრალური საავტომობილო გზები გრანგიტული მნიშვნელობისაა, ემსახურება და მომავალში კიდევ უფრო ფართო მასშტაბით მოემსახურება ევრაზიის დერეფანს.



ინტენსიური ხასიათი მიიღო უცხო ქვეყნების საგრანსპორტო სამუალებათა მოძრაობამ. მათი უკეთ მომსახურების მიზნით ამერიკის საელჩომ ინფორმაცია მოამზადა ინგლისურ ენაზე და შეიტანა „ინტერნეტში“, რაც მეოთხენმნული მოძრაობის მონაწილეებს მაქსიმალურად გაუადვილებს ჩვენს გზებზე უსაფრთხო მოძრაობას და შესაძლებლობას მისცემს მიიღოს მათთვის საჭირო ინფორმაცია.

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო მადლობას უხდის ამერიკის საელჩოს უმურველი თანადგომისთვის.

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო.

ტელევიზია

ხუთშაბათი, 27 მარტი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯაშუშები" **10.15** მხ. ფილმი "**ბასილიკი სასნის სასეირნო**" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "**ეშმაკანა**" **13.00** "ნაშუადღევს" **14.00** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "ეგვიპტოლოგიის პიონერები" **15.15** მხ. ფილმი "**სიცოცხლის ფასი**" **17.05** დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" **17.15** ტელესერიალი "**ფრენა ფინ**" **17.30** შემეცნ.ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ხელოვნების სცენარები" **18.30** პასტა-ბუფუ **18.50** "ჯაბრიფლოსა" **19.20** ტელეთამაში "იმედი რომ" **21.00** ტელესერიალი "**ეშმაკანა**" **21.45** შეჩედრები ფიქრის გარეშე **22.10** საქართველო არის ესე **22.35** ტელესერიალი "**ფრენა ფინ**" **23.00** "რა ხდება ?!" **23.55** მხ. ფილმი "**ბარბასა**" **01.30** ქართული ენის გაკვეთილი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არსზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი "**ოჯახური ურთიერთობები**" **20.30** ისტორიანი **21.00** შვიდეული **22.10** ჰიტ. პარადი **22.20** მხ. ფილმი "**ზარი**"

07.00 მუსიკა **07.30** სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი "**ფანეს ბეთანა**" **10.40** სერიალი "ალფი" **11.10** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "**დაბრუნებული გენერალი**" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "**ფანეს ბეთანა**" **18.00, 21.00, 02.20** კურიერი **18.15** სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **18.40** სერიალი "**ბოდიშინის სპორტი**" **19.00** სერიალი "**ქუჩის ფანტაზიის ოსტატი**" **19.55** სერიალი "**დაბრუნებული გენერალი**" **22.00** ვის უნდა ოცი ათასი? **22.50** ღამის კურიერი **00.20** მხ. ფილმი "**ანდრეი რუბლიოვი**" რ-ში: ანატოლი სოლონიცინი **02.30** კლასიკა

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "**ბოზანარის ბეთლეემის ფასანერეზე**" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი "**ფანეკოლეზი**" **15.15** მხ. ფილმი "**ოსკარ კოლეჯანი**" **17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30** მუსიკა **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **19.30** კონცერტი **21.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით) **22.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ. "**ბეღლარი ფასანერეზის ლეანდრეზი**" **00.55** მხ.ფ. "**ანანიკა პოლიციელი**" **02.10** ღამის ფილმი

17.00, 01.05 იმედის მელოდიები **17.56, 20.57, 00.55** ახალი ამბების დაიჯესტი **18.00** სერიალი "**ბოგოლიუბი ანანიკოს ბოლოდროინდელ**" **19.00, 22.00** ქრონიკა **19.30** სერიალი "**ანანიკოვი ანანიკოს ბოლოდროინდელ**" **21.00** სერიალი "**ანანიკოვი**" **20.30 8 1/2** "არტ-ბუფეტარი" შოუ ბიზნესი **22.45** კინოვარსკვლავთა ღამე "**სანანი ჩა ლანინი**" (ჯეკ ნიკოლსონი)

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგბაიშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნოვრის მორიგე რედაქტორი
რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „ალლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!